დანართი №1

შ.პ.ს. ტელეკომპანია „ტვ 25“-ის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

TV 25

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელეკომპანია ტვ 25-ის მულტიპლექს პლათფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი")

ქ. ბათუმში და მის მიდებარე ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T (EN300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8K, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15მგბტ. წამისა:

1.1. ოფერტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკვნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ბათუმი, ხელვაჩაური ომბალაურის ანძა.

1.2. აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრულიტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.3. ოფერტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: ციფრული ინტერფეისი (SD/ HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2. „ოფერტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1. ქ. ბათუმის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ზონაში დია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს თვეში 352 (სამასორმოცდათორმეტი) ლარი დ.ღ.გ. გარეშე.

2.2. დანახარჯი 1 SD თვეში 757 (შვიდასორმოცდაჩვიდმეტი) ლარი დდგ გარეშე

2.3. დანახარჯი 1 HD თვეში 2815 (ორიათასრვაასთხუთმეტი) ლარი დდგ გარეშე.

3. „ოფერტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1. აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა.

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 1 იენისიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

შ.პ.ს. ტვ 25-ის დირექტორი: /მ. ფრანგულაშვილი/

TV 25